

დანართი №3

2015 წლის 01 დეკემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ.საპრ.№2-15 (CMR 150212232) ხელშეკრულებაზე

თბილისი

15. 04. 2016 წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის **მაია ქალიაშვილის** სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და შპს „პროექტირება, მშენებლობა, ექსპერტიზა“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ალექსი ბურდულაძის** სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს 2016 წლის 15 აპრილის №2660-2 მოხსენებითი ბარათის და ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.5 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება მიმწოდებლის მიერ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე, საავტომობილო გზის ორივე მიმართულებით (3 კილომეტრის მანძილზე), მომსახურების კომპლექსის საავტომობილო გზასთან მიბმის მიზნით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მონაკვეთზე შემანელებელ-ამაჩქარებელი ზოლის მოწყობისათვის, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევის შესახებ მხარეთა შორის 2015 წლის 01 დეკემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ.საპრ.№2-15 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დასრულების ვადად 2016 წლის 15 აპრილის ნაცვლად განისაზღვროს 2016 წლის 15 ივნისი.

2. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2016 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

3. ზემოხსენებული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ.საპრ.№2-15 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები.

4. წინამდებარე დანართის პრეამბულაში აღნიშნულ მოხსენებით ბარათში მითითებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ცვლილებას ექვემდებარება ასევე ს.რ.საპრ.№2-15 ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. ქვეპუნქტი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1. ხელშეკრულების ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 21 211.68 (ოცდაერთი ათას ორას თერთმეტი ლარი და სამოცდარვა თეთრი), მათ შორის პირველი ლოტის ღირებულება შეადგენს 10 605.84 (ათი ათას ექვსას ხუთი ლარი და 84 თეთრი) ლარს, ხოლო მეორე ლოტის ღირებულება შეადგენს 10 605.84 (ათი ათას ექვსას ხუთი ლარი და 84 თეთრი) ლარს“.

5. ზემოხსენებული ცვლილებების გათვალისწინებით ცვლილებას ექვემდებარება ს.რ.საპრ.№2-15 ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვა და ტექნიკური დავალება.

6. წინამდებარე დანართზე თანდართული ტექნიკური დავალება და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი და შემსყიდველთან შეთანხმებული კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი).

7. აღნიშნული ცვლილება არ იწვევს ხელშეკრულების საკონტრაქტო ფასის შეცვლას. შესაბამისად, გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების ფარგლებში, გატარებული ცვლილებების გათვალისწინებით.

8. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

9. წინამდებარე დანართი, მასზე თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

10. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
მაია ქალიაშვილი



მიმწოდებელი
შპს „პროექტირება,
მშენებლობა, ექსპერტიზა“
დირექტორი
ალექსი ბურდულაძე



Handwritten signatures in blue ink at the bottom of the page, including a large signature on the left and several smaller ones on the right.